საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
**კონსერვატორია**
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000050963877820

№ 02-29-R

07 / თებერვალი / 2020 წ.

ბრძანება

**აკადემიური, წარმომადგენლობითი და ფაკულტეტის საბჭოების დღის წესრიგის პროექტის, სხდომის ოქმებისა და დადგენილებების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ასახვის შესახებ**

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 და მე-12 პუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს და ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგის პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდებით განსაზღვრულ ვადებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით დაეგზავნოს საბჭოების თავმჯდომარეებს.

2. ელექტრონულ დოკუმენტბრუნვაში არსებული დღის წესრიგის პროექტი დაეგზავნოს ელ. ფოსტის საშუალებით აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს და ფაკულტეტის საბჭოს წევრებს.

3. კადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს და ფაკულტეტის საბჭოს სხდომების ოქმები და დადგენილებები გაფორმდეს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით სხდომის ჩატარებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. ბრძნების შესრულება დაევალოს აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს და ფაკულტეტის საბჭოს მდივანს/ებს.

5. ბრძანების დაგზავნა დაევალოს კანცელარიას აკადემიური, წარმომადგენლობითი და

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეებისა და მდივნებისთვის და საშემსრულებლო და კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანებისთვის.

6. ბრძანების კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის ვებგვერდის ადმინისტრატორს.

7.ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის კანცელარიას.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა შარიქაძე